პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 ოქტომბერი, კვირა, 1985 წ.
№ 201 (9042) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პარტიის XXVII ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!

თაოსნებს ყოველმხრივი მხარდაჭერა

საქართველოს მშრომელები სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში მოპოვებული ახალ-ახალი წარმატებით ემზადება სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების ღირსეულად შესახვედრად. ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოო კოლექტივებმა ვალდებულება აიღეს გეგმიურზე მაღალი მაჩვენებლებით შეეგებონ კომუნისტთა დიდ ფორუმს. ასეთი კოლექტივების რიცხვი კი დღითიდღე იზრდება. ახლა მათ შეემატა საქართველოს სპორტკომიტეტის საწარმოო კომბინატის შრომითი კოლექტივიც. ამ საწარმოს მშრომელებმა ივალდებულეს მეთერთმეტე ხუთწლედი დაამთავრონ 20 ნოემბრისთვის. წლის ბოლომდე აქ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებენ 800 ათასი მანეთის პროდუქციას, 1985 წლის გეგმა კი შესრულდება 15 დეკემბრისათვის, ამასთან მომხმარებელი მიიღებს 350 ათასი მანეთის ზეგეგმით ნაწარმს. გარდა ამისა, კომბინატის სამკერვალო საამქროს № 3 ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ზ. ოზმანოვა უდგას სათავეში, ივალდებულა შრომისნაყოფიერების ამაღლებით 105 პროცენტით შეასრულოს ყოველთვიური გეგმები.

საწარმოო კომბინატის შრომითი კოლექტივის თაოსნობა მოიწონა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ და კომბინატის ხელმძღვანელობას დაავალა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მშრომელებს აღებულ ვალდებულებათა განაღდებაში, ამასთან ფართოდ გამოიყენონ მორალური და მატერიალური სტიმულირების პროგრესული ფორმები და მეთოდები, წაახალისონ იმ უბნებისა და საამქროების ბრიგადები, რომლებიც თავს გამოიჩენენ წინასაყრილობო შრომით ვახტზე.

გუშინ...

ფეხბურთი

გაიმართა სსრ კავშირის 48-ე ფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, -ე ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ სტადიონზე მიიღეს გათამაშების ლიდერთა ჯგუფში მყოფი დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და ოდესის „ჩერნომორეცი" (მატჩი გადმოტანილია 20 ოქტომბრიდან). დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა „ტორპედომ" — 2:0.

მოსკოვში შედგა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ადგილობრივ „სპარტაკსა" და კიევის „დინამოს" შორის. მატჩი მოიგეს კიეველებმა — 2:1.

ლენინგრადის „ზენიტმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა ხარკოვის „მეტალისტი" — 4:1.

კალათბურთი

თბილისის სპორტის სასახლეში გაგრძელდა კალათბურთელ ქალთა -ე საკავშირო ჩემპიონატის მატჩები თბილისის ქვეჯგუფში მოასპარეზე I ლიგის გუნდებს შორის. გაცნობთ ამ შეხვედრათა შედეგებს: „სპარტაკი" (უფა) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 81:87 (42:41), „ბანგა" (კაუნასი) — სკიფ (ტაშკენტი) 95:87 (46:36), სპი (თბილისი) — „დონი" (როსტოვი) 66:64 (28:32).

მადლობა დახმარებისათვის

საქართველოს სპორტკომიტეტის სახელზე მოსკოვიდან მოვიდა საკავშირო სპორტკომიტეტის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: სსრ კავშირის სპორტკომიტეტის „გლავსპორტპრომის" თხოვნით „საქსპორტრემმშენის" ტრესტმა მოკლე ვადაში დაამზადა და დაამონტაჟა საინფორმაციო ელექტრონული ტაბლოები სუმგაითისა და ოქტემბერიანის სტადიონებზე, რამაც საშუალება შეუქმნა ამ ქალაქების სპორტულ ორგანიზაციებს მაღალ დონეზე ჩაეტარებინათ ფეხბურთში 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები იუნიორთა შორის. სსრ კავშირის სპორტკომიტეტი მადლობას უხდის საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ებრალიძეს, ტრესტ „საქსპორტრემმშენის" მმართველს გ. კორკოტაძეს და ტრესტის მე-5 სამმართველოს უფროსს ქველაშვილს იმ დახმარებისთვის, რომელიც მათ გაუწიეს სომხეთისა და აზერბაიჯანის სპორტულ ორგანიზაციებს ბაზების ხარისხიანად მოსამზადებლად.

საკავშირო სპორტკომიტეტი მადლობას უხდის ტრესტის ყველა სპეციალისტსაც, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს ელექტროტაბლოს შემუშავების, დამზადებისა და დამონტაჟების საქმეში.

ქალთა X საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ნდობა გაამართლეს

თითქოს საგანგებოდ მოაწყვესო, ტურნირის ეკვატორზე ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს. დიდი ინტერესით ლევიტინასა და 17 წლის არახამიას ორთაბრძოლას ელოდა ყველა. არახამია ჩინებულად თამაშობს ამ შეჯიბრებაში, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ლევიტინასთან შეხვედრამ. დიდოსტატმა ინგლისური დაცვით დაწყებული პარტია თანდათან სიცილიური დაცვის დრაკონის სისტემაში გადაიყვანა. ახალგაზრდა ოსტატმა მშვენივრად აუღო ალღო ყველაფერს. იგი ისე „აჭირითებდა" მხედრებს, რომ ლევიტინამ ვერა და ვერ ააწყო იერიში. დიდოსტატმა თამაში გადაიყვანა ენდშპილში, ალბათ ფიქრობდა, რომ იქ მიიღებდა უპირატესობას. არახამიამ მოიგერია მუქარა და შეინარჩუნა ლაზიერის ფრთაზე მოგებული პაიკები. პარტია გადაიდო ამ პოზიციაში.



41-ე სვლა ჩაიწერა არახამიამ (შავები). მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

იოსელიანი — ხუგაშვილის შეხვედრაც დაძაბულად მიმდინარეობდა. რთულ ენდშპილში იოსელიანმა შეძლო ჯერ მხედრით, მერე ეტლით შეჭრილიყო ლაზიერის ფრთაზე, რამაც მატერიალური ნადავლი მოუტანა. პარტიის ბედიც ამ უპირატესობამ გადაწყვიტა.

უშეღავათო ბრძოლა გააჩაღეს ლაზარევიჩმა და ახმილოვსკაიამ. ბოლოს პარტია ეტლების ენდშპილში გადავიდა. ბიჭვინთელმა დიდოსტატმა შეინარჩუნა მიტელშპილში მოგებული პაიკი და ახლა, გადადებულ პოზიციაში, მთელი ქულის შეძენის შანსი აქვს.

შეგახსენებთ: 7 ტურის შემდეგ ირინა ლევიტინას 4 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს. ქეთევან არახამიას — 4 (5-დან) და ერთი გადადებული პარტია, ნანა იოსელიანს — 4, თამარ ხუგაშვილს — 3,5 (6-დან), ეუფა ვერეცი-პეტრონიჩს — 3,5, ელენა ახმილოვსკაიას — 3 (5-დან) და ერთი გადადებული პარტია, ქეთევან კახიანს — 3 (1).

შეჯიბრების პირველი ნახევარი გაილია. ამასთან დაკავშირებით „ლელოს" კორესპონდენტი ესაუბრა ტურნირის მთავარ მსაჯს, საერთაშორისო არბიტრს **ლილი წეროძეს.** აი, რა თქვა მან:

— მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა შორის არ არიან მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია, ევროპაში იშვიათად თუ გამართულა მსგავსი სიძლიერის ტურნირი. სწორად მოიქცა საქართველოს სპორტკომიტეტი, როცა შეჯიბრებაში ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკეები მიიწვია, გოგონებმა ნდობა გაამართლეს. ქების ღირსია ოსტატი ქეთევან არახამია. გვხიბლავს მისი ძალიან სერიოზული დამოკიდებულება თამაშისადმი, ცოდნა და სითამამე. ქეთევანმა სძლია ფავორიტებს — იოსელიანსა და ხუგაშვილს და ახლა ლევიტინასაც უგებს. როგორც ჩანს, იგი შეასრულებს საერთაშორისო ოსტატის ნორმატივს. ასევე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ყველაზე უმცროსი მონაწილე, 14 წლის ქეთევან კახიანი. სხვათა შორის, ქეთევანი ჩვენი ჭადრაკის სასახლის აღსაზრდელია (მწვრთნელი გოგი მაჭარაშვილი), გოგონა მეტად შეუპოვარი მებრძოლია. მთელი საღამოს მანძილზე ერთხელაც არ წამოდგება სკამიდან. სწორედ დიდი თავგამოდების წყალობით გადაარჩინა მან (თეთრებით) პარტია ვერეცი-პეტრონიჩთან. აი, ამ პარტიის დაბოლოება:

კახიანი — ვერეცი-პეტრონიჩი



42. მd3 ეd1 43. f3 ე:d3 44. fe fe 45. მფg2 ეd2+ 46. მფg1 e3 47. მფf1 ე:a2 48. g4 ეc2 49. ე:e3 ე:c4 50. ეd3 ე:g4 51. მფe2 e4 52. [illegible] c3 53. ეd3 ეc4 54. ეd6 ეc8 55. ე:c3 ეd8 56. ეc6 მფg7 57. ეc7+ მფf6 58. ე:a7 ე:d6 59. ე:h7 მფf5 60. მფe3 ეg6 61. ეf7+ მფe6 62. ეf3 მფd5 63. ეh3 ეc6 64. ეh1 ეc3+ 65. მფd2 მფd4 66. h5 ეa3. 67. ეh4+ e4 68. h6 ეa2+ 69. მფc1 ეa8 70. h7 ეh8 71. მფd2 b5 72. ეh6 b4 73. ეd6+ მფc4 74. ეc6+ მფb3 75. ეc7 მფb2 76. მფe3 b3 77. მფ:e4. ყაიმი.

ქების ღირსია მესამე დებიუტანტიც — საქართველოს ჩემპიონი ჰენრიეტა ლაგვილავა. იგი ცდილობს მაქსიმალურად გამოავლინოს ის, რაც იცის და შეუძლია. ქართულ ჭადრაკს ჭეშმარიტად საიმედო ცვლა ეზრდება.

არაფერს ვიტყვი დიდოსტატთა თამაშზე. ისინი გამარჯვებისთვის არაფერს იშურებენ. თუ იოსელიანი თამამად იბრძვის ქულისთვის, სხვები ზოგჯერ ყაიმებს სჯერდებიან. ყველას თავისი ტაქტიკა აქვს.

ახლოვდება ფინიში და ვგრძნობ, რომ ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდება.

გუშინ VIII ტურში არახამიამ დაამარცხა ლაზარევიჩი, ხოლო გარსია — იოსელიანს, ახმილოვსკაია — ვერეცი-პეტრონიჩისა და მიჩიჩი — ხაიკოვას პარტიები დამთავრდა ყაიმით.

სურათებზე: დიდოსტატი ირინა ლევიტინა. ინდოელი სტუდენტები — თბილისის უნივერსიტეტის რუსული ენის მოსამზადებელი ფაკულტეტის მსმენელები (მარცხნიდან) — ბანსურეშ მანანი და ლევენდანად კუნტია; დემონსტრატორებს მოცლა არა აქვთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

კასპაროვის მეორე „ტაიმ-აუტი"

გუშინ მოსკოვში უნდა გამართულიყო კარპოვ-კასპაროვის მატჩის მეთვრამეტე პარტია, მაგრამ იგი არ შედგა. გარი კასპაროვმა მეორე „ტაიმ-აუტი" აიღო. მეთვრამეტე პარტია რეგლამენტით 22 ოქტომბერს უნდა გაიმართოს.

თამაშობენ პრეტენდენტები

საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში VI ტურის შეხვედრები გაიმართა.

სმისლოვმა დაამარცხა სპრაგეტი, რიბლიმ — პორტიში. დაზავდნენ ნოგეირასი — სოკოლოვი, სეირავანი — ჩერნინი, ტიმანი — კორჩნოი. გადაიდო იუსუპოვ — ბელიავსკის, ტალ — შორტისა და ვაგანიან — სპასკის პარტიები.

6 ტურის შემდეგ არტურ იუსუპოვს 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ლაიოშ პორტიშს (უნგრეთი) — 3,5, ვასილ სმისლოვს, მიხეილ ტალს, იან ტიმანს (ჰოლანდია) — 3-3 (1-1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

სად ვეძებოთ რეზერვი?

საქართველოს სპორტკომიტეტის წყალთა სახეობების განყოფილების გამგე მერაბ ქართველიშვილი გვესაუბრება ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელთა შედეგებზე, სპორტსმენთა პერსპექტივაზე, გუნდში არსებულ პრობლემებზე.

● საქართველოს წყალბურთელები ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში V ადგილის დაკავებას ფიქრობდნენ და ვარაუდი გამართლდა კიდეც, მაგრამ, წინასწარ შეჯიბრებებში ჩვენი გუნდი სხვებს რომ შეხვედროდა, ალბათ ძალიან გაუჭირდებოდა მიზნის მიღწევა.

— გეთანხმებით. ჩვენი გუნდი, მართალია, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადასთან შედარებით სამი საფეხურით დაწინაურდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ გვაკმაყოფილებს. კენჭისყრა მართლაც იღბლიანი გამოდგა. პირველ შეხვედრაში დავმარცხდით მომავალ ჩემპიონთან, უდავოდ ძლიერ მოსკოვის ნაკრებთან (5:7), მერე კი ლიტვისა (10:8) და თურქმენეთის (17:3) გუნდებთან გავიმარჯვეთ.

● რამდენადაც ვიცით, საქართველოს ნაკრებმა ჭაბუკთა საკავშირო სპორტული თამაშებისთვის სამზადისი დროულად დაიწყო. ჩატარდა შეკრებები, გუნდი გამოდიოდა ოფიციალურ და საკონტროლო თამაშებში. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ჩვენი ნაკრები ალბათ უკეთაც უნდა გამოსულიყო წლის ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში.

— სამწუხაროდ, ნაკრების კანდიდატთა მომზადების დონე დაბალი აღმოჩნდა. ოცდაოთხი სპორტსმენი ემზადებოდა. მათგან ცამეტი შევარჩიეთ, მაგრამ არც ისინი აღმოჩნდნენ ისე მომზადებული, როგორც საჭირო იყო. იძულებული გავხდით შეკრებებზე ისეთი ელემენტარული საკითხისათვის დაგვეთმო დრო, როგორიცაა ბურთის ფლობის ტექნიკა, ძირითადად ბურთის გადაწოდება როგორც ადგილიდან, ისე მოძრაობიდან, ბურთის დროული გადაწოდება, ზუსტი პასი....

ჭაბუკთა თამაშებში ჩვენი ნაკრები იერიშების დროს სათნადოდ ვერ იყენებდა ცენტრალურ თავდამსხმელს, დაცვაში — პრესინგს, სტანდარტულ სიტუაციებს. მოთამაშეები ვერ ახერხებდნენ სწრაფად გადაადგილებას... ამან გამოიწვია ტაქტიკის ერთფეროვნება. საქართველოს ნაკრები თითქოს უდავო საგოლე მომენტებიდან მხოლოდ 35-40 პროცენტს თუ იყენებდა. ეს ნაკლი განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა მაშინ, როცა რვა უძლიერეს გუნდს შორის გაჩაღდა შეჯიბრება. მაგალითად, მოსკოვისა და ტაჯიკეთის გუნდებთან მატჩებში ჩვენებმა ბევრჯერ გაუშვეს ხელიდან კარის აღების შესაძლებლობა, როცა მეკარეების პირისპირ აღმოჩნდნენ. ამან, რა თქმა უნდა, იმოქმედა საბოლოო შედეგებზე. ჩვენი გუნდის გამოსვლაზე დიდი გავლენა მოახდინა იმანაც, რომ არ გვყავდა თუნდაც საშუალო დონის ტექნიკურად მომზადებული წყალბურთელი, რომელიც ლიდერობას იტვირთებდა. მწვრთნელები დიდ იმედებს ამყარებდნენ სპორტის ოსტატობის კანდიდატებზე ბითაძეზე და გიორგაძეზე, მაგრამ ისინიც კი ხშირად იბნეოდნენ. მათ თამაშზე იმანაც იმოქმედა, რომ ბოლო შეკრებების დროს ორივე ავადმყოფობდა. მერე, კიევში, როცა გადამწყვეტი შეხვედრები დაიწყო, ბითაძე დაშავდა და ოთხ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო.

● ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წყალბურთელთა აღზრდის საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა.

— მართლაც, ადგილებზე ბევრი არაფერი კეთდება ნიჭიერ წყალბურთელთა დაოსტატებისათვის. თბილისის „დინამოს", საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს თუ სხვა წამყვან გუნდებს სპორტსაზოგადოებები და უწყებები მეტად სუსტად მომზადებულ

წყალბურთელებს აწვდიან. მაგალითად, ჭაბუკთა თამაშებზე ჩვენს ნაკრებში რვა მოთამაშე „დინამოს" წარმომადგენელი იყო, ორი — თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლისა, სამი — არმიის სპორტული კლუბისა. თუნდაც ესეც კი ნათლად მოწმობს, სად როგორი ყურადღება ექცევა წყალბურთის განვითარებას.

წყალბურთელთა აღზრდის საქმეს მთელ რესპუბლიკაში თბილისის გარდა თითქმის არსად სერიოზულად არ ეკიდებიან. აქვე მინდა ვთქვა, რომ სპორტსმენთა ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების ამოცანა ძირითადად სპორტსკოლებში უნდა წყდებოდეს და არა ნაკრებ გუნდებში.

● მაინც სად უნდა ვეძებოთ რე რვი, რა უნდა გაკეთდეს მდგომ ეობის გამოსწორებისათვის?

— უნდა მოწესრიგდეს ბათუმ სოხუმის, ქუთაისის საცურაო აუზ ის მუშაობა; წყალბურთის განვი რებისათვის ყველა სპორტსაზოგად ებამ და უწყებამ ერთნაირად უ იზრუნოს, მეტი მონდომება მართ მწვრთნელებსაც. უნდა მივაღწ იმას, რომ ჩამოყალიბდეს წყალბუ თის სპეციალური კლასები და სკოლ ინტერნატებში გაიხსნას წყალბუ თის ჯგუფები.

საუბარი ჩაიწერ
ავთანდილ გურასაშვილ

ალო! შტაბი გისმენთ...
93-97-55, 99-56-14



სამწუხარო ფაქტზე, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, მშობელთა ჯგუფის სახელით დაგვირეკეს ცხინვალიდან. იმავე დღეს დავუკავშირდით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩვენი გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს და დავავალეთ ადგილზე შეესწავლა სიგნალი.

მალე მეექვსე ზამთარიც დადგება

ცხინვალის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ხსენებაზე უნებლიედ ეღიმებათ ცხინვალელებს, ხელსაც როგორღაც უიმედოდ ჩაიქნევენ, არადა ამ ექვსიოდე წლის წინ როგორ გაიხარეს, როცა გაიგეს, რომ სკოლას რეკონსტრუქცია-გაფართოებას უპირებდნენ. ვეშველა და ეგაა, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ნორმალურად ვარჯიშის, სხეულის გაკაჟების საშუალება ექნებათო... მაგრამ...

1980 წელს შეუდგა ტრესტი „ცხინვალმშენი" (მაშინდელი მმართველი მუხარ თიგიევი) სკოლის რეკონსტრუქციას (დამკვეთი — სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალურ მშენებლობათა სამმართველო). დასანგრევი დაინგრა, საძირკველი ჩაიყარა, ამოიმართა კედელიც, მაგრამ ნელა ემატებოდა აგურს აგური, ზანტად მუშაობდნენ მშენებლები, ბოლოს სულ გაჩერდნენ.

არც დამპროექტებლებმა და არც მშენებლებმა არ გაანალიზეს პროექტი, არ შეუფარდეს მას საკუთარი შესაძლებლობები. პროექტის მიხედვით შენობა რკინაბეტონის ვეება კონსტრუქციებით — ფერმებით უნდა გადაეხურათ. ასე იყო გათვალისწინებული და აკი მოზიდეს კიდეც მასალა რის ვაი-ვაგლახით. მაგრამ იმაზე აღარ იფიქრეს, რომ ამ მრავალტონიანი კონსტრუქციების ასაწევად და დასამონტაჟებლად ორი 25-ტონიანი ამწე იყო აუცილებელი. წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა საჭირო ტექნიკის მოძებნა. თუმცა, რომც მოეძებნათ, ეს ცალფად ნაგები აგურის კედლები შესძლებდნენ განა უსაშველოდ მძიმე სახურავის ზიდვას?

ამასობაში ტრესტს ახალი მმართველი სოსლან გერგაული ჩაუდგა სათავეში, რომელმაც იპოვა გამოსავალი: გადაწყდა, ფერმები შედარებით მსუბუქი რკინის ასაწყობი კონსტრუქციებით შეცვლილიყო. გარკვეული წინააღმდეგობების დაძლევის შემდეგ საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა. ამასობაში კიდევ ერთი წელი მიიწურა.

სურამის ციხედ ქცეული სპორტსკოლის საკითხი მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 20 ივლისის კრებაზე. ოლქის ხელმძღვანელობა შეაშფოთა მშენებლობის ამგვარად გაჭიანურებამ. მათი წარმომადგენლები არაერთგზის ეწვივნენ მშენებლებს, მისცეს რჩევა-მითითებები, მკაცრად მოუწოდეს საშემსრულებლო პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ცუდად დაწყებული საქმის გამოსასწორებლად დროა საჭირო, არადა მოზარდები მოუთმენლად ელიან სპორტული სკოლის მშენებლობის დამთავრებას, განსაკუთრებით — საცურაო აუზისას, რომელიც ვინ იცის როდის ჩადგება მწყობრში. ცნობისათვის: მთელს ოლქში ერთი საცურაო აუზიც კი არ არის.

სპორტსკოლის სარეკონსტრუქციოდ 640 ათასი მანეთი იყო გამოყოფილი, დღეისათვის კი, ე. ი. ოთხი წლის შემდეგ, მხოლოდ 300 ათასი მანეთია ათვისებული. მიმდინარე წელს 95 ათასი მანეთის ნაცვლად 9 თვეში 50 ათასი მანეთი დაიხარჯა. მშენებლები ფიქრობენ, რომ დარჩენილ თანხას წლის დასასრულამდე აითვისებენ და იუბილარ სკოლას, რომელსაც წელს არსებობის 50 წლისთავი უნდა ეზეიმა, საახალწლოდ მშენებლობის პირველ რიგს — სათამაშო დარბაზს გადასცემენ საექსპლოატაციოდ. გადავწყვიტე ამის თაობაზე ტრესტის მმართველთან, სოსლან გერგაულთან მესაუბრა:

● ნუთუ დარჩენილი 88 ათასი მანეთის ასათვისებლად კიდევ ოთხი წელია საჭირო?

— ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული, — მიპასუხა მან. — ჩვენ რამდენსაც გამოგვიყოფენ წელიწადში, იმდენს ვითვისებთ. თუ მომავალ წელს სრულად გადმოგვცემენ დარჩენილ თანხას და სკოლას საექსპლოატაციოდ გადასაცემ ობიექტთა სიაში შეიყვანენ, ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ გეგმის შესასრულებლად.

მაგრამ არც მისი სჯერათ სპორტსკოლის მუშაკებს. უკვე რამდენი წელია ისინი სკოლის ძველი შენობის სარდაფს შეფარებიან. ამას კიდევ არაფრად ჩააგდებდნენ, მათთვის განკუთვნილი წყალსადენი მილი რეკონსტრუქციის „საპატიო მიზეზით" რომ არ გადაეჭრათ და ახლა უწყლოდ დარჩენილთ შორიდან არ უხდებოდეთ ვარჯიშით დაქანცული ბავშვებისთვის წყლის ზიდვა. თუმცა უწყლობა რა მოსატანია, როცა წინ გამავალი ქუჩის საწრეტი რუ წვიმიან ამინდში ნიაღვარითა და ლამით ივსება, კალაპოტიდან გადმოდის და პირდაპირ სპორტსკოლის სარდაფში ჩაედინება. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მუხლამდე წყალში უწევთ სირბილი იმისათვის, რომ თავი გადაუგდონ ნიაღვარს.

დიახ, მეტად მძიმე პირობებში მეცადინეობენ აქ ბავშვები, რომელთაც მეორე სავარჯიშო დარბაზი (დარბაზი პირობითად ითქმის) ემსახურებათ. მოუწყობელია სათამაშო დარბაზიც, რომელიც თავიდანვე უიატაკოდ დაუტოვებიათ მშენებლებს. იატაკის ნაცვლად აქ ბეტონი დაუსხამთ. მოასპარეზეთა საცქერლად მოსულთათვის განკუთვნილ ადგილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მშობლებსა და ჭეშმარიტ გულშემატკივრებს სად გააგდებ? სკოლის მესვეურებმა თვითონ შეიძინეს და მოზიდეს ხელსკამები.

არადა, მშენებლები როგორ „ქომაგობენ" ბავშვებს? შეჯიბრების დროს დინჯად შემოლაგდებიან ხოლმე სარდაფში და კედლის გასწვრივ ძელსკამზე ჩამოსხდებიან. „დაღლილ ხელებს" მუხლებზე დაიწყობენ და თავგამოდებით გულშემატკივრობენ ბავშვებს. რის ვაივაგლახით აგებული კედლები კი სახურავს ელოდებიან. დიდხანს მოუწევთ ლოდინი, რადგან საჭირო ხე-ტყის მასალა ჯერაც არ დაუხერხავთ. მალე შემოდგომის თბილი, მზიანი ამინდები ცივი და წვიმიანი დღეებით შეიცვლება და... ბავშვები კი საახალწლოდ საჩუქარს ელიან.

ლეილა სუბელიანი.
(„ლელოს" საკ. კორ.).
ცხინვალი.

გამოხმაურება წერილ

„როგორი მასპინძლები ვართ

მოვხსნათ ხელოვნური ბარიერებ

ინტერესით წავიკითხე „ლელოს" 16 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „როგორი მასპინძლები ვართ?": გულახდილად რომ გითხრათ, წერილი ბოლომდე ჩავიკითხე თუ არა, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ბევრ საკითხებში ხელოვნურად ვქმნით დაბრკოლებებს. დღეს განა პრობლემად უნდა იყოს, რომ სპორტულმა ბაზებმა შეუფერხებლად იმუშაოს? ანდა აბონემენტების დაბეჭდვა რად უნდა ჭირდეს? ბანკში სპეცსახსრების ანგარიშის გახსნას რატომ ვზღუდავთ? საქმე ხომ მოსახლეობიდან ნაღდი ფულადი შემოსავლის მიღებას ეხება, რასაც ესოდენ დიდი ყურადღება ეთმობა სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებში.

ჩემი აზრით, თბილისის ერთ-ერთ სტამბას უნდა დაევალოს შეუფერხებლად მიიღოს შეკვეთები ცალკეული ორგანიზაციებიდან აბო ნემენტების დამზადებაზე. ეს სტამ მოემსახუროს აღმოსავლეთ საქა რთველოს რეგიონებს (როგორც ამ ბობენ, თბილისის მე-4 სტამბა, სა დაც ასეთ შეკვეთებს იღებენ, და ტვირთულია სხვა საქმით). მეორ სტამბა ალბათ ქუთაისში უნდ გამოიყოს, რომელიც დასავლე საქართველოს მოემსახურება. თუ საჭიროა საფინანსო ორგანოებ თვის სახელმძღვანელო სანორმ ტივო აქტის შემუშავება, ეს დროულად უნდა მოგვარდეს. სპო რტულ ბაზებს ბოლოს და ბოლო უნდა დავუგეგმოთ ნაღდი ფუ ლადი შემოსავალი, რაც მათ ხელ ძღვანელებს აიძულებს მეტი პა სუხისმგებლობით მოეკიდონ მოსა ხლეობის მომსახურებას.

ნიკოლოზ კოხრეიძ
პენსიონერი, თბილ

იქნებ ეს სიახლე სხვასაც გამოადგეს

წერილში „როგორი მასპინძლები ვართ" დროულადაა წამოწეული ისეთი პრობლემები, რომელთა გადაჭრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ჩვენი პარტიის საპროგრამო მოთხოვნების განუხრელად შესრულებაში. რაკი სპორტულ ბაზებზე მომსახურების მეშვეობით მოსახლეობისგან ნაღდი ფულადი შემოსავლის მიღების უკეთ ორგანიზაცია დგას დღის წესრიგში, მინდა მოკლედ გაგაცნოთ ერთი სიახლე, რომელიც ჩვენს დედაქალაქში დაინერგა.

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში, რომელიც უნივერსი ტის ქუჩაზე მდებარეობს, გა ნილია ათლეტური ტანვარჯიშ კლუბი. კლუბის წევრები ავსებ საქართველოს ფინანსთა სამინ ტროს მიერ დამტკიცებულ სპ ციალურ ბლანკს, ამ საბუთს წ რადგენენ ორგანიზაციაში, სა მუშაობენ და ხელფასიდან ექვით ბათ მეცადინეობის საფასუ პრინციპი დაახლოებით იგივ რაც მაღაზიიდან განვადებით ნ თის გამოტანის ღირებულების დახდისას.

ვფიქრობთ, ეს საყურადღ სიახლეა და იქნებ სხვებსაც მოადგეს.

გელა მანჯავაძ
სტუდენ

ორი გამარჯვებული და სამი პრიზიორ

ულიანოვსკსა და ომსკში გაიმართა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა და მოზრდილთა პირველობები კრივში.

ულიანოვსკში მოასპარეზე ჭაბუკთა შორის (1969-1970 წწ დაბადებულნი) თავი გამოიჩინა **ნიკოლოზ ჯაჭვაძემ** (57 კგ, მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები გარი ხაჩატუროვი და ოთარ რაგიმოვი). მან ყველა ბრძოლა ბრწყინვალედ ჩაატარა არავის დაუთმო პირველობა. ვით **კაზიშვილი** (48 კგ), თევდ **კესაბოვი** (54) და **თენგიზ ბა მოვი** (75) III ადგილზე გავიდნ

ომსკში მოზრდილები ასპარე დნენ. **ნუკრი სუხაშვილმა** (67 მწვრთნელები გ. ხაჩატუროვ ო. რაგიმოვი) ოთხივე მეტოქეს უგო და ამ სპორტსაზოგადოე ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

I ლიგა

18 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-18 ტურის მატჩები.

„ა“ ჯგუფი, I-XII ადგილები

ბათუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ლვოვის ასკ „კარპატი“. ამ მატჩის შესახებ ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი **ოთარ მურვანიძე** გვატყობინებს: —

მთელი შეხვედრის მანძილზე გაუთავებლად წვიმდა. მასპინძლებმა, თავიდანვე მიაღწიეს საერთო უპირატესობას, ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ შელიას, ჟვანიას, ძელს მოხვდა ჩიქოვანის დარტყმა.

84-ე წუთზე ლვოველებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ტიშჩენკომ — 1:0.

შესვენების შემდეგ ასკ „კარპატის“ დაცვას და მეკარე რასულოვს მეტოქის მრავალი იერიშის მოგერიება მოუხდათ, რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენეს გორგილაძემ, პაიჭაძემ, თორლაშვილმა, საპასუხო გოლის გატანა კი დინამოელებმა მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე შეძლეს. მეკარესთან პირისპირ გასული კაკაბაძე ერთ-ერთმა მცველმა უხეშად წააქცია, გორგილაძის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი რასულოვმა მოიგერია, მაგრამ ბურთს მიუსწრო მახარაძემ და თანაფარდობა აღადგინა — 1:1.

აღსანიშნავია მოსკოველი არბიტრის ვ. გუსკოვის არაკვალიფიციური მსაჯობა.

დინამოელთა შემადგენლობა: მამინაშვილი, მაისურაძე, კაკაბაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, თორლაშვილი, ჟვანია (მახარაძე), ბაბუნიძე, შელია, გორგილაძე, პაიჭაძე.

სხვა მატჩები: „დინამო“ (სტავროპოლი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 0:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:2, ასკ (ხაბაროვსკი) — „დაუგავა“ (რიგა) 0:0.

„ბ“ ჯგუფი (XIII-XXII ადგილები)

ლანჩხუთის „გურია“ შინ შეხვდა კრასნოდარის „კუბანს“ და მარცხი განიცადა ანგარიშით 1:4. ამ მატჩის შესახებ ჩვენმა ლანჩხუთელმა კორესპონდენტმა **ავთანდილ ორმოცაძემ** შეგვატყობინა:

თამაშის დასაწყისში არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ მასპინძლები ასეთი დიდი ანგარიშით წააგებდნენ. პირიქით, „გურია“ დასაწყისში უტევდა, მერე კი, 32-ე წუთზე, აკოფიანმა პირველი ბურთი გაიტანა. მცირე ხანს შემდეგ კრასნოდარელებმა კარგად გამოიყენეს საპასუხო შეტევა და იუდინმა თანაფარდობა აღადგინა — 1:1.

შესვენების შემდეგ „კუბანმა“ ძლიერად ითამაშა, ჯერ რუდკომ დააწინაურა თავისი გუნდი, 61-ე წუთზე კორეშინმა მესამე ბურთი გაიტანა, ხოლო მატჩის დასასრულს იმავე რუდკომ — მეოთხე.

„გურიის“ შემადგენლობა ამ მატჩში: მჭედლიძე, ფილიგაშვილი, ვერულაშვილი, ხანიკიძე (თევზაძე), მელიქია, ებანოიძე, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა (უგრელიძე), ჩხაიძე, კონდრატიევი, აკოფიანი.

სხვა მატჩები: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ზვეზდა“ (ჯიზაკი) 3:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)— „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:0.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 20 ოქტომბრისთვის

„ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა“	37	20	12	5	59-25	52
„პამირი“	35	17	9	9	44-31	43
ასკ „კარ.“	34	15	11	8	46-32	41
ცსკა	34	14	13	7	59-34	40
„შინიკი“	37	14	13	10	45-45	40
„ლოკომ.“	35	15	9	11	44-41	39
„კოლოსი“	36	16	6	14	41-45	38
„როტორი“	36	14	10	12	56-47	38
ასკ ხ.	35	14	9	12	50-51	37
„კოტაიკი“	36	16	4	16	49-49	36
„დინამო“ ბ.	36	13	8	15	50-54	34
„დინ.“ სტ.	37	11	6	20	29-47	28

„ბ“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალ.“	36	16	7	13	49-51	39
„კუზბასი“	36	16	5	15	58-50	37
„გურია“	37	15	7	15	47-48	37
„სპარტ.“	37	16	4	17	45-49	36
„ფახთაქ.“	36	12	13	11	46-38	36
„კუბანი“	36	13	7	16	51-49	33
„ნისტრუ“	36	11	8	17	37-52	30
„კრ. სოვ.“	36	8	13	15	33-42	28
„ისკრა“	36	7	8	21	26-47	22
„ზვეზდა“	36	7	8	21	36-73	22

საქართველოს პირველობა

შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი ქუთაისის „იმერეთსა“ და წალენჯიხის „სქურს“ შორის (მსაჯი შ. ხანიაშვილი, თბილისი). ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „იმერეთმა“, ბურთები გაიტანეს გურგენიძემ და ხუნდაძემ.

გააფრთხილეს წალენჯიხელი დ. მახარაძე და ქუთაისელი დ. გიორგაძე.

სპორტულ გაზეთზე

ფეხბურთი. საქართველოს თასის ნახევარფინალური მატჩი. 20 ოქტომბერი. გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „კოლხეთი“ (ხობი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). დასაწყისი 14 ს.

MEXICO 86

კიდევ ორი ფინალისტი: მაროკო, ალჟირი

ალჟირისა და მაროკოს ფეხბურთელებმა აფრიკის ზონაში მოიპოვეს 1986 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება.

ალჟირში 80 ათასი მაყურებელი დაესწრო ამ ქვეყნისა და ტუნისის ნაკრები გუნდების საპასუხო მატჩს (პირველი შეხვედრა ალჟირელებს ჰქონდათ მოგებული —4:1).

ალჟირის გუნდმა ეს მატჩიც სრული უპირატესობით ჩაატარა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0 (2:0).

მაროკოელი ფეხბურთელები ლიბიის ქალაქ ბენზაგში დამარცხდნენ ამ ქვეყნის ნაკრებთან — 0:1, მაგრამ პირველ მატჩში მოპოვებული გამარჯვების შედეგად (3:0) ფინალში ისინი გავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ მაროკოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 1970 წელს მონაწილეობდა მექსიკაში, ხოლო ალჟირისა — 1982 წელს ესპანეთში.

საღეისოდ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილე 24 გუნდიდან ცნობილია 15: **იტალია, მექსიკა, ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ესპანეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი, პორტუგალია, ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, კანადა, მაროკო, ალჟირი.**

სსრ კავშირის 53-ე ჩემპიონატი კალათბურთში

ჯერ რიგაში, მერე ვილნიუსში

20-26 ოქტომბერს რიგასა და ვილნიუსში გაიმართება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 53-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მატჩები. ბალტიისპირეთის ამ ორ ქალაქში თავს მოიყრის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე თორმეტივე გუნდი და გათამაშების პირველი წრეც დამთავრდება.

თბილისის „დინამო“ თამაშს რიგაში დაიწყებს, სადაც სამ გუნდს შეხვდება: 20 ოქტომბერს — კიევის „სტროიტელს“, 21 ოქტომბერს — ადგილობრივ ვეფ-ს და 22 ოქტომბერს — კაუნასის „ჟალგირისს“. ერთდღიანი შესვენების შემდეგ ქართველი კალათბურთელები თამაშებს ვილნიუსში განაახლებენ. იქ მათი მეტოქეები იქნებიან: 24 ოქტომბერს ადგილობრივი „სტატიბა“, 25 ოქტომბერს — კუიბიშევის „სტროიტელი“ და 26 ოქტომბერს — კიევის ასკ.

პირველი წრის მეორე ტურის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგ.“ (კაუნ.)	5	5	0	505-401	10
„სპარტ.“ (ლენ.)	5	4	1	457-425	9
ცსკა	5	4	1	468-396	9
„დინამო“ (მოს.)	5	4	1	481-431	9
„სტატ.“ (ვილნ.)	5	3	2	434-391	8
„სტრ.“ (კუიბ.)	5	3	2	414-435	8
რტი (მინსკი)	5	2	3	384-385	7
ვეფ (რიგა)	5	2	3	395-442	7
„სტროიტ.“ (კ.)	5	2	3	417-438	7
„დინ.“ (თბ.)	5	1	4	421-442	6
ასკ (კიევი)	5	0	5	399-458	5
„უნივ.“ (ტაშკ.)	5	0	5	398-474	5

შენიშვნა: გამარჯვებისთვის გუნდს ერიცხება 2 ქულა, დამარცხებისთვის — 1, გამოუცხადებლობისთვის — 0.

„მართვე“ №2

მკითხველმა მიიღო „მართვეს“ 1985 წლის მეორე ნომერი.

რუბრიკით „ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“ „მართვე“ გთავაზობთ ორ ტურისტულ მარშრუტს, რომლებიც უდავოდ ინტერესს გამოიწვევს ფეხით სიარულისა და ლაშქრობათა მოყვარულებს შორის.

სასიამოვნოა, რომ ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში იმატა ტურიზმით გატაცებულთა ოჯახებმა, ამას ადასტურებს წერილი „დედა ნახე, მამა ნახე“..., რომელიც „მართვეს“ ამ ნომერშია დაბეჭდილი.

„მართვეს“ მუდმივ მკითხველებს ახსოვთ, რომ მიმდინარე წლის პირველ ნომერში დაიწყო შოთა მამარდაშვილის საინტერესო სტატიის — „ფიზიკური კულტურის ფუნქციები“ — ბეჭდვა. მეორე ნომერში გაეცნობით ამ სტატიის მეორე, დასკვნით ნაწილს.

ადამიანისა და მისი ერთ-ერთი უერთგულესი მეგობრის, ცხენის ურთიერთობაზე, მოგვითხრობს წერილი „ლურჯაი თვალცრემლიანი“.

ჭაბუკ მოჭიდავეთა მწვრთნელებს, ფიზკულტურის მეთოდისტებს უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს მიხეილ ოყროშიძის წერილი „გამძლეობის განვითარება ჭაბუკ მოჭიდავეებში“, რომელიც იბეჭდება რუბრიკით — „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული“.

ქართული ფეხბურთის დიდოსტატზე, „ფეხბურთის კარუზოდ“ წოდებულ ბორის პაიჭაძეზე მოუთხრობს მკითხველს არჩილ გოგელიას ნარკვევი, რომელშიც ავტორის პირად მოსაზრებებთან ერთად გაეცნობით თვით ბატონი ბორისის მოგონებებს.

მასობრივი ფიზკულტურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ყველას დაგვაწყებინოს ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ვარჯიში. სწორედ ამიტომ, „მართვე“ გვთავაზობს შინ მოვაწყოთ ეგრეთ წოდებული „ოთახის სტადიონები“, აქვე მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, ნახაზები, რომელთა მიხედვითაც ყოველ ჩვენგანს შეუძლია ჯანმრთელობის კერად აქციოს საკუთარი ბინა.

„ადამიანი ოცნებობს ფრთებზე“ — ასე ეწოდება ავთანდილ გურასაშვილის წერილს, რომელიც მოგვითხრობს ადამიანის გასაოცარ მისწრაფებაზე ღრუბლებისკენ, სხვადასხვა საფრენი აპარატების გამოგონებაზე, ამ აპარატების განვითარებისა და სრულყოფის ისტორიაზე.

რუბრიკით „გიხაროდენ“ იბეჭდება პეპი ბოჭორიშვილის ნარკვევი „ფანჯარაში შემოფრინდა მტრედი“. ავტორი გვიამბობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლის ეზოში აშენებულ ბრწყინვალე სპორტულ ნაგებობაზე — განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის დარბაზზე, რომელიც ახლახან გადაეცა საექსპლოატაციოდ.

წერილში „ყველაზე საპატიო პრიზი“ ჟურნალისტი ზურაბ ფოცხვერია მოგვითხრობთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ისტორიაზე, ამ პრიზის გათამაშებებში მომხდარ საინტერესო ამბებზე, იმ ფეხბურთელებსა და გუნდებზე, ვინც თავი გამოიჩინა ჩამპიონთა თასის ტურნირებში.

ამავე ნომერში ჟურნალი ამთავრებს ბეჭდვას კარენ და პეტერ ცებროფების წიგნისა „იოგა ოჯახში“. შეხვდებით, აგრეთვე, ტრადიციულ რუბრიკებს „8X8“, „მხიარული ობიექტივი“, „იუმორი“, ფოტორეპორტაჟს „ერთი დღე ჩოგბურთის სკოლაში“.

დღეს „ლელოს“ მკითხველებს ვთავაზობთ „მართვეს“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „რიტმი, მუსიკა, პლასტიკა“.

რიტმი, მუსიკა, პლასტიკა

რიტმული ტანვარჯიში — აეროზიკად მონათლული საყოველთაო გატაცება — თითქოს მოულოდნელად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და მაშინვე მტკიცედ დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი, მაშინვე მოხიბლა დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი თავისი ემოციური ბუნებით, მკვეთრად გამოხატული რიტმული აქცენტებით, ცეკვას მიმსგავსებული ნარნარი მოძრაობებით, მუსიკალური სამკაულებით, გარეგნული ეფექტურობით და, რაც მთავარია, ჯადოსნური ზემოქმედების ძალით.

ჯადოსნური ზემოქმედების ძალით... მაინც რა ძალა აქვს ასეთი ამ სიახლეს? რით გამოირჩევა იგი სხვა დღემდე ცნობილი და გავრცელებული გამაჯანსაღებელი ვარჯიშებისაგან, რამ განაპირობა ესოდენი პოპულარობა? ანდა... არის კი სიახლე რიტმული ტანვარჯიში?

ვიდრე ამ შეკითხვებზე გავცემდეთ პასუხს, ჯერ ზოგი რამ ისტორიიდან უნდა გავიხსენოთ.

ცნობილია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინათ ჩინეთსა და ინდოეთში მშვენივრად იცოდნენ რიტმული ვარჯიშის გამაჯანსაღებელი ძალა და მას სამკურნალო მიზნით იყენებდნენ.

ტანვარჯიშს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ამბობდა, ტანვარჯიში ადამიანს წესრიგს აჩვევსო. სწორედ ბერძნული ტანვარჯიშის ერთ-ერთი ნაირსახეობა — ორქესტრიკა უნდა მივიჩნიოთ ვარჯიშთა ყველა რიტმული, პლასტიკური თუ რიტმპლასტიკური სისტემის, მათ შორის თანამედროვე მხატვრული ტანვარჯიშის წინამორბედად.

შუა საუკუნეებში ტანვარჯიშს ვიწრო სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობა მიეცა. პროგრესულად მოაზროვნე ჰუმანისტებმა, რომელთაც ტანვარჯიში ადამიანის ყოველმხრივი განვითარების საშუალებად მიაჩნდათ, სცადეს კვლავ დაებრუნებინათ მისთვის უწინდელი მნიშვნელობა და კვლავ შემოეღოთ იგი სასწავლებლებში. მაგრამ პირველ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდა ტანვარჯიშის ეროვნული სისტემები, რომელთა მიზანი მეომართა წრთობა და მომზადება იყო.

გადიოდა წლები, ათწლეულები...

...XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგმა ფიზიოლოგმა

ჟორჟ დემენიმ შექმნა ვარჯიშთა თავისებური სისტემა, რომელშიც უპირველესი მნიშვნელობა რიტმსა და მოძრაობის ჰარმონიას ენიჭებოდა. მეცნიერი დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ განუწყვეტელი მოძრობა ნაკლებად ღლის ადამიანს. ამიტომ მან მიზანშეწონილად მიიჩნია მეცადინეობის დროს ვარჯიშების განუწყვეტელი მონაცვლეობა. ასე დაედო სათავე მოძრაობის ნაკადურობის პრინციპს, მუშაობაში 5-10 წუთით ერთდროულად ერთვებოდა რამდენიმე სახსარი და სეგმენტი. ამას მოსდევდა 1-3-წუთიანი პაუზა. გაკვეთილის ხანგრძლივობა იყო ერთი საათი უფროსებისთვის, ნახევარი საათი — ბავშვებისათვის.

ფრანგმა საოპერო მომღერალმა ფრანსუა დელსარტმა საფუძველი ჩაუყარა მიმართულებას, რომელშიც ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმოდა მოძრაობის რიტმი და კოლორიტულობა. დელსარტმა შექმნა მეცნიერება სხეულის გამომსახველობის შესახებ. მისი ვარჯიშების სისტემა დაფუძნებული იყო ადამიანის ემოციური მდგომარეობისა და სხეულის მოძრაობის კავშირზე. დელსარტს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. მისი სისტემის საფუძველზე ახალი და ახალი სკოლები იქმნებოდა.

XIX საუკუნის მიწურულს ჟენევის კონსერვატორიის პროფესორმა ჟაკ დალკროზმა შექმნა ტანვარჯიშის სისტემა, რომელიც ხელს უწყობდა სმენისა და რიტმის კუნთური გრძნობის განვითარებას. მან აღმოაჩინა და შეისწავლა რიტმის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, მისი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. ახალი სისტემით ჩატარებულმა პირველივე მეცადინეობებმა მნახველთა აღტაცება გამოიწვია და ხელი შეუწყო ტანვარჯიშის პოპულარობას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. დალკროზის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მოძრაობის დამორჩილება მუსიკალური რიტმისადმი და ბგერითი პერიოდების პლასტიკურ მოძრაობებში გადმოცემა. გაკვეთილებზე ორგანიზმის დატვირთვა მეტად დიდი იყო, რა-

იხ. მე-4 გვ.

კარპოვ-კასპაროვის მატჩის ირგვლივ

„თქვენი აზრი?!"

კარპოვ-კასპაროვის მატჩი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. საზღვარგარეთის პრესა კვლავინდებურად დიდ ყურადღებას უთმობს მას, აქვეყნებს ცნობილი სპეციალისტების აზრს. დღეს გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატს, 18 წლის ნორვეგიელ სიმენ აგდესტეინს და ცნობილ ინგლისელ მოჭადრაკეს ენტონი მაილსს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მატჩს გარი კასპაროვი მოიგებს და მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონი იგი გახდება. მათ არ ეთანხმებიან ინგლისელი დიდოსტატი ჯონ ნანი და საერთაშორისო ოსტატი ალდო აიკი (საფრანგეთი): „ჩვენ ძალიან მოგვწონს პრეტენდენტის თამაშის სტილი, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ მატჩს კარპოვი მოიგებს. რატომ? იმიტომ რომ იგი პრაქტიკულად უფრო ძლიერია". შვედი დიდოსტატი ლარს კარლსონი და საერთაშორისო ოსტატი დენიელ კამპორა (არგენტინა) ვარაუდობენ, რომ კარპოვი მატჩს მცირე უპირატესობით მოიგებს. აი, რას წერს კამპორა მადრიდის გაზეთ „ელ პაისში":

„ფეხბურთის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა მოსკოვის მატჩში „ღია თამაშია". მსოფლიო ჩემპიონი პრეტენდენტს საშუალებას აძლევს შეტევა წამოიწყოს, გვიჩვენოს რაშია ძლიერი... კარპოვი იმედოვნებს მეტოქის იერიში თავისი დახვეწილი ტექნიკის მეშვეობით უვნებელყოს".

ჯონ ნანი ლონდონის „სანდი ტაიმსში" ამჯერად ასე წერს: „მე კვლავ გავიმეორებ ჩემს ნათქვამს: „კასპაროვი უფრო ეფექტურად, ლამაზად თამაშობს, კარპოვი კი — პრაქტიკულად". არ დაგვავიწყდეს, რომ მან ეს თქვა მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ, როცა ანგარიში თანაბარი იყო.

საინტერესოა ჰოლანდიელი დიდოსტატების იან ტიმანისა და ჯონ ვან დერ ვილის აზრი: „ისეთმა ნიჭიერმა „მოწაფემ", როგორიც გარი კასპაროვი გახლავთ, არ შეიძლება არ გაითვალისწინოს წინა, მარათონული მატჩის გაკვეთილები". ტიმანი გვარწმუნებს, რომ კასპაროვს ჯერ კიდევ არ გამოუმჟღავნებია თავისი შესაძლებლობები. „კასპაროვი ახლა, ასე ვთქვათ, გარდამავალ პერიოდშია" — წერს ჯონ ვან დერ ვილი როტერდამის „ალგემაინე დაგბლადში" — მან ნაწილობრივ მოთოკა თანდაყოლილი იმპულსურობა, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ დაძლია იგი".

ზანგი მიმომხილველი, რომელიც უპირატესობას კარპოვს ანიჭებს, ფიქრობს, რომ კარპოვმა ვერ შეძლო ძალების მთლიანად აღდგენა წინა მატჩში მიღებული დიდი ფიზიკური და ნერვული დაძაბვის შემდეგ. ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტის" მიმომხილველი მარიო ბურტოკი თავის წერილს ასე ასათაურებს: „ტოლიამ ვერ შენიშნა ლაზიერის შეწირვა (ლაპარაკია მეთერთმეტე პარტიაზე) და ეს სრულიად მოულოდნელი იყო ისეთი კლასის მოჭადრაკისაგან, როგორიც კარპოვია". დიახ, მიმომხილველები კარპოვის პრაქტიკაში ასეთ გაუგონარ, უხეშ შეცდომას ჩემპიონის გადაღლით ხსნიან.

შაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონი — მეოთხედ

მინსკელმა დიდოსტატმა ანატოლი განტვარგმა მეოთხედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ასუჭრიან შაშში.

ეს მოხდა ჰააგაში (ჰოლანდია), სადაც იგი შეხვდა მატჩში მსოფლიო პირველობაზე ჰოლანდიელ დიდოსტატ რობ კლერკს. მეცხრამეტე პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ მან ვადაზე ადრე — დასკვნითი, მეოცე პარტიის თამაშამდე გაინაღდა გამარჯვება.

საუკეთესო პროფესიონალები

ჟურნალ „ბასკეთბოლ ჯიგითსმა" გამოაქვეყნა 1984-85 წლების სეზონის უძლიერეს კალათბურთელთა სია, „ოლ სტარსის" ორი შემადგენლობა.

პირველ ხუთეულში არიან: ლარი ბერდი („ბოსტონ სელტიქსი"), ბერნარდ კინგი („ნიუ-იორკ ნიკერბოკერსი"), მოუზეს მელოუნი („ფილადელფია-76"), მეჯიქ ჯონსონი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი"), ისაია ტომასი („დეტროიტ პისტონსი").

მეორე ხუთეულში მოხვდნენ: რალფ სემპსონი („ჰიუსტონ როკეტსი"), ტერი კამინგსი („მილუოკი ბაქსი"), ქერიმ აბდულ ჯაბარი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი"), მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო ბულსი") და სიდნეი მონკრიფტი („მილუოკი ბაქსი").

ლარი ბერდი სტუდენტობის დროს ინდიანის შტატის გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა, ამჟამად კი სახელგანთქმული „ბოსტონ სელტიქსის" აღიარებული ლიდერია. მას სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ პროფესიული კალათბურთის სუპერვარსკვლავად.

ბერნარდ კინგს თუ შეიძლება ასე ითქვას, „საგოლე გადაცემათა" უბადლო ოსტატად თვლიან, ზოგიერთი ჟურნალისტი მას ლამაზი პასებით ზედმეტ გატაცებასაც კი საყვედურობს. პროფესიული კონტრაქტის გაფორმებამდე კინგი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის გუნდში იყო და ორჯერ საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგაც მოუწია თამაში.

მოუზეს მელოუნი ადრე „ჰიუსტონ როკეტსში" გამოდიოდა. 1982 წელს იგი „ფილადელფია-76-ში" გადავიდა. სწორედ მელოუნისა და ჯულიუს ირვინგის ცენტრალურმა „ტანდემმა" განაპირობა მნიშვნელოვანწილად ის, რომ „ფილადელფია-76" 1983 წელს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი გახდა.

მეჯიქ ჯონსონი „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდიდან მოვიდა, რომლის შემადგენლობაშიც 1979 წელს აშშ-ის ჩემპიონი გახდა სტუდენტთა შორის. წლევანდელი ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში ჯონსონმა შეძლო „ბოსტონ სელტიქსის" ლიდერის ლარი ბერდის უვნებელყოფა, რითაც დიდად შეუწყო ხელი თავისი გუნდის გამარჯვებას.

ისაია ტომასი იმ გუნდის წევრი იყო, რომელიც 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზე უნდა ჩამოსულიყო. იმავე წელს იგი პროფესიონალებში გადავიდა და სულ მალე მოიპოვა საქვეყნო აღიარება. ამის დასტურია ის, რომ იგი მესამედ შეიყვანეს „ოლ სტარსის" შემადგენლობაში.

რალფ სემპსონმა ჯერ კიდევ ვირჯინიის უნივერსიტეტის გუნდის შემადგენლობაში ყოფნისას მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. პროფესიული კონტრაქტი მან მხოლოდ 1983 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გააფორმა. „ოლ სტარსის" შემადგენლობაში პირველადაა.

ქერიმ აბდულ ჯაბარს ჩვენი გაზეთის მკითხველები, ვფიქრობთ, კარგად იცნობენ და ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

რალფ სიმპსონის მსგავსად **მაიკლ ჯორდანიც** პირველადაა „ოლ სტარსის" შემადგენლობაში. სტუდენტობის დროს სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა და 1983 წელს მოყვარულთა შორის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს. პროფესიონალებში 1984 წელს, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის შემდეგ გავიდა და პირველსავე მატჩში 45 ქულა შესძინა თავის გუნდს!

ტერი კამინგსი და **სიდნეი მონკრიფტი** „მილუოკი ბაქსის" წამყვანი კალათბურთელები არიან. თუ ეს უკანასკნელი რამდენჯერმე იყო დასახელებული „ოლ სტარსის" შემადგენლობაში, პირველი პირიქით — „ოლ სტარსის" დებიუტანტია.

დასასრულს დავძენთ, რომ 1984-85 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს **ლარი ბერდი**, **ხოლო** საუკეთესო მწვრთნელად **დონ ნელსონი**, რომელიც „მილუოკი ბაქსს" უდგას სათავეში.

მერაბ კალანდაძე.

და... ევროპის ჩემპიონატის საგზურიც

შემოდგომა მარათონების დროა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ზედიზედ იმართება შეჯიბრებები უძნელეს დისტანციაზე — 42,195 კმ-ზე, რომლებშიც უამრავი სპორტსმენი და სპორტის მოყვარული მონაწილეობს.

პეკინის საერთაშორისო მარათონში გამარჯვება იაპონელმა ტყუპმა ძმებმა სიგერუ და ტაკესი სომ იზეიმეს. ფინიშზე ორივემ 2:10.23 (ტრასის რეკორდი) აჩვენა, მაგრამ მსაჯებმა აღნიშნეს, რომ სიგერუმ მცირედით მაინც აჯობა ძმას. მესამე ადგილი ინგლისელმა ჰიუ ჯონსმა დაიკავა — 2:10.36.

მელბურნის ტრადიციულ მარათონში 5000 კაცი მონაწილეობდა, გაიმარჯვა 32 წლის ბელგიელმა ფრედ ვან დერ ვენეტმა — 2:12.35. ქალთა შორის ავსტრიელი მარგარეტ რედენი იყო პირველი — 2:44.56.

შვედმა მორბენალმა მიჰაელ ჰილმა გაიმარჯვა „კლასიკურ მარათონში", რომელსაც სტარტი ყველასათვის ცნობილი ადგილის ახლოს, სოფელ მარათონში მიეცა, ფინიში კი თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილზე, ათენის მარმარილოს სტადიონზე ჰქონდა. 25-გრადუსიან სიცხეში აღმართ-დაღმართიანი ტრასა ჰილმა 2:26.20-ში გაირბინა. ქალებში ყველას აჯობა ინგლისელმა ერიკა ფრენსისმა — 3:04.30.

მარათონელთა სეზონის გვირგვინი იქნება ალბათ ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს ცნობილი გარბენები, რომლებიც მომდევნო კვირაში უნდა გაიმართოს.

ახლა კი იმ მარათონის შესახებ, რომელიც 1986 წლის 25 მაისს ჰამბურგში უნდა ჩატარდეს. ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ, გარბენში ცნობილი სპორტსმენები კარლუშ ლოპეში, სტივ ჯონსი, ალბერტო სალაზარი და სხვები მიიწვიონ და თითოეულ მათგანს 25-25 ათასი დოლარი შესთავაზონ. ძნელი სავარაუდებელია, მიაღწევენ თუ არა ჰამბურგელები მიზანს, რადგან ზემოხსენებული ათლეტები მარათონში გამარჯვებისთვის გაცილებით დიდ თანხას ღებულობენ. ლოპეშმა, მაგალითად, როტერდამის მარათონში გამარჯვებისთვის 110 000 დოლარი მიიღო. სხვათა შორის, ამ უზარმაზარმა თანხამ მსოფლიოს უმაღლესი მიღწევის ადრინდელი მფლობელი სტივ ჯონსიც დააინტერესა და ამიტომ მან უარი განაცხადა ლონდონის მარათონში გამოსვლაზე (ორივე შეჯიბრება ერთდროულად ტარდებოდა). ლონდონის მარათონის ორგანიზატორებს მხოლოდ ამ თანხის ნაწილის გაღება თუ შეეძლოთ, ამიტომ სპორტსმენს ასეთი წინადადება მისცეს (რა თქმა უნდა, თავისი ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციასთან შეთანხმებით): თუ ჯონსი ლონდონში პრიზიორთა შორის მოხვდებოდა, ავტომატურად მიიღებდა ევროპის ჩემპიონატის საგზურს, რომელიც მომავალი წლის ზაფხულში, შტუტგარტში უნდა გაიმართოს. სპორტსმენი ამ წინადადებამ მოხიბლა და ლოპეშსა და ჯონს შორის მხოლოდ „დაუსწრებელი" დუელი გაიმართა. როგორც იცით, ამ დუელში ლოპეშმა გაიმარჯვა, რომელმაც ბრწყინვალე შედეგი 2:07.11 აჩვენა და მსოფლიო მიღწევა ჩამოართვა ჯონსს. ამ უკანასკნელმა ლონდონში კი გაიმარჯვა, მაგრამ ერთ წუთზე მეტით „ჩამორჩა" ლოპეშს — 2:08.16.

სურათებზე: სტივ ჯონსი ლონდონის მარათონის დისტანციაზე; კარლუშ ლოპეში როტერდამის მარათონის ფინიშზე.

რიტმი, მუსიკა, პლასტიკა

გაგრძელება

მდენადაც ფეხების გამუდმებულ მუშაობას (სხარულის, რბენის, ხტომის მოძრაობათა შესრულება) კორპუსის მრავალფეროვანი მოძრაობები ერთვოდა. მომეცადინეებს ყოველი ვარჯიში ავტომატიზმამდე უნდა დაეხვეწათ და მხოლოდ შემდეგ შეიძლებოდა მისი გართულება. კარგად ათვისებული რიტმი შემდგომ, პლასტიკურ ვარჯიშებს ერწყმოდა.

იმხანად დალკროზის სისტემას ბევრი ამრეზით უყურებდა და თავის შეხედულებას საჯაროდაც გამოთქვამდა, მაგრამ ურწმუნო თომათა სკეპტიკურმა განწყობილებამ ხელი ვერ შეუშალა მის უდიდეს პოპულარობას. 1912-1913 წლებში დალკროზის მიერ გერმანიის ქალაქ ჰელერაუში შექმნილი რიტმული ტანვარჯიშის ინსტიტუტის მოსწავლეები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდნენ და მაყურებელს თავიანთი მასწავლებლის სისტემას აცნობდნენ. სულ მალე ინსტიტუტის განყოფილებები მრავალ ქვეყანაში გაიხსნა.

დემენის, დელსარტისა და დალკროზის სისტემებს ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ისინი ამ სისტემებს თავიანთი შეხედულებისამებრ ავსებდნენ და ამდიდრებდნენ. დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ამერიკელმა მოცეკვავემ აისედორა დუნკანმა, რომელმაც თითქოს ხელახლა აღმოაჩინა ადამიანის სიარულის, მსუბუქი ნახტომის, თავისა და ხელების მოძრაობის გამომსახველობითი ძალა. მისი ყოველი გამოსვლა საუკუნისათვის ნიშანდობლივი დინამიზმით იყო აღბეჭდილი.

მოძრაობის სხვადასხვა რიტმპლასტიკური სისტემები მეტად პოპულარული იყო რუსეთში. 1910 წელს პეტერბურგში გაიხსნა რიტმული ტანვარჯიშის კურსები ჟაკ დალკროზის სისტემის მიხედვით. კურსების დამთავრების შემდეგ მისი ორმოცდაათი მსმენელი რიტმიკას ასწავლიდა ქალთა პანსიონებში, მუსიკალურ სასწავლებლებში. ამ კურსებმა დაუდო სათავე რუსეთში მხატვრული ტანვარჯიშის სკოლების შექმნას. რუსეთში არსებული პლასტიკის, თავისუფალი ცეკვის, რიტმიკის სკოლები ესწრაფოდნენ ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, ფიზიკურ სილამაზესა და სიჯანსაღეს, სულიერ სიმდიდრეს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სტუდია ჰქონდა დამთავრებული ლ. ალექსეევას, რომელმაც ჰარმონიული ტანვარჯიშის სისტემა შექმნა. მისი სისტემისთვის მთავარი იყო სხეულის განმავითარებელი ვარჯიშების შერჩევა, მოძრაობის ესთეტიკურობა, ტანვარჯიშული მასალის განსაკუთრებული დამუშავება. ალექსეევას სწამდა, რომ მუსიკასა და მოძრაობას შორის „რიტმული ჰარმონია" უნდა სუფევდეს. 1918 წლის 6 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის ზეიმზე, რომელსაც ლენინი ესწრებოდა, უჩვენეს ალექსეევას პირველი დიდი ნამუშევარი: პლასტიკური ტრილოგია. წარმოდგენამ დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მესვეურებმა იმთავითვე სწორად შეაფასეს რიტმული ტანვარჯიშის მნიშვნელობა. ჯერ კიდევ 1918 წელს განათლების სახელმწიფო კომისიის მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ მასობრივი რიტმული ტანვარჯიში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. 1921 წელს, როცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ჯერ კიდევ უთვალავი სიძნელე უნდა გადაელახა და უამრავი პრობლემა გადაეჭრა, განათლების სახალხო კომისარიატმა შესაძლებლად ცნო მოსკოვში მოეწვია აისედორა დუნკანი ისეთი სკოლის შესაქმნელად, სადაც ცეკვა ბავშვების — ახალი სამყაროს ახალი მოქალაქეების მხატვრულ-ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება იქნებოდა.

1923 წელს განათლების სახალხო კომისრის ა. ლუნაჩარსკის განკარგულებით შეიქმნა „პლასტიკური მოძრაობის სტუდია", რომელსაც ზ. ვერებოვა ჩაუდგა სათავეში. ამ სტუდიაში ამზადებდნენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმებისათვის. სხვა საგნებთან ერთად სასწავლო პროგრამაში შედიოდა რიტმული ტანვარჯიში და სოლფეჯიო ჟ. დალკროზის მიხედვით, პლასტიკა, აკრობატიკა, კლასიკური, და ისტორიულ-საყოფაცხოვრებო ცეკვის ელემენტები, კომპოზიცია, ნებისმიერი ვარჯიშების შედგენა.

(დასასრული იქნება)

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე — 06333